

ცნობის უპურსელი

სურათებიანი დამატება



რუსის სამართალი

ზილტერისა

ძველი, დაღეპული შესარტყენელად
საფრანგეთის... ჩვენი დღით სარტყენად!
თავის ვსდემ, რუსო, შენს სამარს
და ბრძენს მღუმარს, გვლა ეხადი ბრძენად.
ამოდ სხენე ქვეყნად მშვიდობა!
კვირი, სიყვარო რიცა დასტოვე,
სულის მშვიდობა და მოსვენება
მხოლოდ უგრძობელ მიწაში მხოლოდ.
საუკუნია ვერ რტყენს ხალხს წელსს:
წინედ ბნელად—ბრძენებს ზოგადენს,
აწ თოვც კათუნდა, მაგრამ მტარადენი
და ჯალაბი უფრო გამაღვდენს.
მოკვდა სოკრტი უმეცარი ხელით,
აწაშეს რუსით ქრისტეს მსახურთა,
აწაშეს მიტომ, რომ თოვდა მინის
აღამიანად გარდაქმნა ქსურდა.

ბ. ანოსპირელი.

ს ი მ ლ რ ბ

უფროდ დამქრს ვარსკვლავი,
თავით ბნელი ჩამომეფარს;
უღობელ სველამ დამაღო
გულზე ჩივილის ბუკარა.
მაკრტომ ვეუგ მარადდე
შენი შიგონის-შეჭარა?!

ავა შე, ჩემო შეჭურავ,
ვეღარა ენასვე, ვეღარა!

გოგლო.

შერქმევილი პირები

მალას ოღიშზე იდგა ტაძარი
დიდებულ ზეგის სადღებულად,
სადცა ხალხს დოცვა-ვეღრებით
ვიდოდა ფრთხილად, მორიდებულად.

შე აუდა კრამი გვირგვინისნი,
ხალხის რწმენით ძალთა ძლიერი;
მისის იმედით, სისიებითა,
იტანდა ტანჯავს მწუწრულ-მშვიდრი.

მას ლოცვობდნენ თაყვანისცემით,
სწრაფდნენ მსხვერპლსა თივადებულად,
მაგრამ არსად სწნდა კერმის ძალი,
არც სასწული მიუღინებულად.

დღეს ეს ტაძარი, უარყოფილი,
ხალხის კონკას დაუნრეგა
და მწარედ ნახოს, რაც მას ვედრების
კერმის წინ გრძელი დაუნთხეთა.

მის სამხვერპლოზე არ ითვით გეცხლი,
ტაძარი იგი გუჭმებულა
და მახე რწმენა დაკრულ კულა
სამარადისოდ კაბრუნებულა!

აღფოთებული ქურუთა გრება
ჭრავს და უსტყენს მთიდან სვამურს,
რომ ადაგინოს მრევლის რწმენა,
მაგრამ არავინ იძლევა მასხუნს.

და თუ ოდესმე ვინმე ვიღოდა
იმ უარყოფილს ადგილებშია,
მისკენ სისრულად მომხადებული
ქვეთი გვირათ ეველას ხელშია.

და შესხობდნენ: „არღ ღვთაებო,
შაო არის შენი ოცნება,
რომ გვლავ ისაღო შენს წინ მლოცველი
და დაიბრუნო ძველი დივუბა!“

კატო მიქელაძე.

ორი სოფლავი

(ეტიკონი)

(დასასრული *)

VI

არ გაუვლია ერთს თვის, რაც ნუცამ სასწავლებელი
დაამთავრა და ჩვენი ილიკოც დაუმეგობრდა მამა მისს. ილი-
კოს შეძლებამ მიხეილს დღეთრები დაუნია. ილიკომ გაავებთ-
ნა მიხეილს, რომ მზად არის ყველაფრით შეეწიოს, თუ-კი თა-
ვისს ლამაზს ქალს-ნუცას ცოლიად მისცემს. „მდიდარი სიმე
მულამ დახმარებას ამოვიგინესო“, ფიქრობდა ნუცას მამა.
როცა ნუცამ ეს ამბავი გაიგო, კინაღამ ქუცისაგან შვიშლო,
საშინელ უარზე იდგა, მაგრამ ათანაირ ხვეწნით, დარიგებით,
შეშინებით, ნაცნობ-ნათესავების შეტენით, როგორც იქნა,
პირობა დაადებინეს.

— ხომ ხელავ, მამო, მყიდიან!—შესტირა ნუცამ სოსი-
კოს.

სოსიკოს არტება მოეწემა მას აქეთ, რაც ნუცას გათხო-
ვების ამბავი ჩაეწევა ყურში. სრულებით არ გგონა, თუ
ნუცას ასე მალე გაათხოვედნენ. ამას გარდა მხოლოდ ეხლა
იგრძნო, რა ძლიერ ყოფილა დახლოვებული ნუცასთან. სულ
სტროდა, გადასწყვიტა ნუცას ქორწილს არ დასწრებოდა და
სადღაც გადახვეწილიყო. ჯავრისგან შებოქილი ორ დღეს
სულ ქეთვობდა და მთვრალი იყო, მაგრამ მიინც გულ-
გრილიად ვერ იგონებდა საყვარელ მეგობრის ხელიდან გამო-
ცლას.

სოსიკო ნუცას ქორწილს არ დასწრებია.

*) იხ. „დამატება“, № 335.



ა. თ. ყუჭუჭიძე.

ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი.

VII

ძნელი და მეტად ძნელი, როცა ადამიანს ნამდვილი მეგობარი არა ჰყავს. საცოდავია ის ადამიანი, რომელსაც არ მოეპოვება ისეთი ვინმე, რომელსაც თავის გულის სიღრმეში ჩაახედოს, თავის გულის ნადები გაუზიაროს. ასეთ ადამიანს თვალში ცხოვრებას მნიშვნელობა არა აქვს, ყველაფერი ემძიმება, თავის ბუნებას მეტ ბარჯად სთვლის. ყოველ ადამიანისათვის უახლოებელსი მეგობარია თავისი მეუღლე; თუ ადამიანს ისეთი მეუღლე ჰყავს, როგორც მას უნდა, იმისთვის საჭირო არაა სხვა მეგობარი.

მართალია, ოქრო მარგალიტი და ტკბილ-ფუფუნებით ცხოვრება, ბევრ ტანჯულ გულს მალამოდ ევლინება, მაგრამ იმ ადამიანისთვის კი ღირსადაც არა ღირს, ვისაც გული უთვისტომობით და უშეგობრობით იტანჯება. თუ გული სხვა რაბით აქვს ადამიანს დასერილი, ოქროა თავზეც რომ აყაროს, მისთვის ფუჭია. ასეთ მეგობარობაში იყო ნუცა: რად უნდოდა ფუფუნებით ცხოვრება, სიმდიდრე და გულის მომხმან სიტყვები, როცა ქმრის მავივრად ღმერთმა შევარი არგუნა. მისთვის ათასწილიად უკეთესი იქნებოდა, რომ ნახევრად მშვირი ყოფილიყო, ოღონდ კი ისეთს ადამიანს შეჰყაროდა, როგორც მას სწავდა.

— ასრულდა! — სასოწარკვეთილებით სთქვა ნუცამ ჯვარის წყრის შედეგ. — იმ მამემ გავებე, რომელსაც მუდამ ვერიდებოდი! ის უბედურება დამატყდა, რომლის იცდენას ყოველ წაშს ვყოქრობდი. განქანენ ჩემი იმედები, მისწრაფებანი, ყველაფერს ბოლო უბოლო ვახრწინილი ცხოვრებამ! რას ვეტრფოდი და რა მარგუნა ბედმა? დღემდის სასწავლებლის სკანს არ მოვიკლიბიდიარ, აწი. შეჰდდა გაადამიანება, რამის გავკეთება და... ოჰ... ღმერთო! როგორ შთაინთქო ჩემი ოცნებანი! იოტის ოდენა მანც რამე გამკეთებინა! ვისი მეუღლე ვარ, ვისი? რას ვეძებდი და რა ვპოვე? მინდოდა ადამიანთან ცხოვრება და ბედმა... ადამიანის აზრდლო მარგუნა, რომლისთვის არაფერი წონდა არ არსებობს ქვეყნად, რომლის გარნობა და სულ-გული კანცლიარის ქაღალდებს დაუბოგებია! ოოჰ... მშობლებო... ქვეყანაგ! სოსიკო... სოსიკო! სადა ხარ? სადა ვარ? — ამ სიტყვებზე ნუცას ცხარე კრემლები გადმოსცივდა და სასოწარკვეთილი ლოგინზე მიწვა.

— განა ისე უნდა დავმონდე, ისე უნდა დასამარდე, რომ ვერავის ვერაფერი სარგებლობა ვერ უნდა მოუუტანო? განა იმისათვის მისწავლია, რომ ვილაყ დახავსებულ მოხელეს ვეყმო, მისი სურ მოქრილი მონა ვიყო? ასეთს ცხოვრებას მე ვერ შევიფრებდები? ასეთი ცხოვრება არა მრწამს! ასეთს პირობებში არსებობა არ შემიძლია, ჩემს არსებას არ ძალუქს მისი შეთანხმება! ან მე უნდა გავქრე, ან ასეთს ცხოვრებას უნდა თავი დავებწიო? მაგრამ სად, ვის მივმართო? განა იქნება ისეთი ვინმე, რომ თანამიგრძნოს, ჩემს წმინდა აზრებს არ შეაფურთხოს? ოოჰ... არის... არის... სოსო... მყავს მაგრამ მასთან ცხოვრება არ შემიძლია... მომწამლავს ბოროტი ვნა, საზოგადოება... მე უბედურს... ტანჯულს... სოსიკო... სოსიკო! ჩემს აზრს, ჩემს ფიქრს, ჩემს მისწრაფებას გულში ვასამიბები! ვერ გამიხმელია, ვერავისთვის ვერ დამინახებია ჩემი გულის სიღრმე! არა მყავს მეგობარი, თანამგრძობი... ქმარს ხომ მარტო იმისთვის ვცეცარ რომ ჩემის სიღამაზით დასტკებეს... ოჰ, უხერო! დაცემული!.. თავყანს მეცემს, მალმერთებს იმისთვის, რომ ლამაზი ვარ! ჩემს ბოროციელ სიღამაზეს ეტრფის. ღმერთო, რად მომეცე სიღამაზე, თუ-კი ჩემი დამღუბველი და გამათხსირებელი იქნებოდა, თუ მე მიწასთან გამასწოებდა.

ასეთ სასოწარკვეთილებაში იყო ნუცა. არავის მისი გულის ნადები არ ენბოდა. კვდებოდა, იმის არსებაში გენია იყო და მეგობარ-ნანრგობები კი გაბედნიერებას ულოცავდნენ. ყველაფერი შესძულდა, შესძავდა თავისი თავი. ქმარი, მშობლები, ნაცნობ-ნათესავები, ქვეყანა... ყველას მოგონება ზიზნს ჰგვირდა; როცა პირუტყვულ გრძობით გატაცებული ქმარი ეხვეოდა, მისს ტანჯვას დასასრული არა ჰქონდა. ერთხელ კინდამ კნოლებით თვა ქმარს, როცა იგი გაშავებთ შკოკინდა და მისგანაც ამასვე თხოვდა... ყველაფერი ვზიზნებოდა ნუცას, სოსიკოს მეტი. მხოლოდ მისდამი სიყვარული-და ასულდამგულებდა, მხოლოდ ის-და დარჩენიდა ქვეყნად იმეთად მუდამ წამს ოგებარ-ტირალით იგონებდა წარსულ დროს: „სოსო, სოსო, მამიკო! სადა ხარ? რას ფიქრობ?“ კრემლებთან ერთად საცოდავით ამოიკენსებდა ხოლვ ნუცა.

VIII

საღამოა. ნუცა მარტოა. ცოტა ხნის შემდეგ ილიკოც მოვა სახმასურდიან, და კიდევ დადგება ნუცასთვის აუტანელი წამები. უზის მავიდას უთვისტომობით მოწამლულ-მოშხამული ადამიანი და მთელის თავის არსებით მიხსერება თავის ბავშვობის სურათს... როცა უმანკო იყო, სწავლობდა იგონებს წარსულს და ნეტქარ-სამხალა ერთად ირევიან მისს სულ-გულს. რა ტკბილია ბრწყინვალე წარსულის მოგონება, რა ნეტარება...

სიწუმეა. ყველაფერს სიმდიდრის და ფუფუნების ბეჭედ აზის. ძვირფასი ხალიჩები, სურათები თითქოს დასკინიან ნუცას, გულ-გრილიად უტკებენ მისს სულის ყვეთებას. მათი დასავი თხილას ჰგვირს ნუცას, ნაველის უმატებს... გულის მავლივით ესმაბ...

— მე კრემლებით ჩემს ბედს ვერ შევიფრებდები! — ფიქრობდა ნუცა. — მშვიდობით ყველაფერი! შენ თუ არ დამინდები, ცხოვრებავ, არც მე დავინდობ! მე შენ არ დაგვგონებდი! შენს მონობას სიკვდილი მიზრგვინა... ასეთი არსებობა მე არ მწამებია და არცა მრწამს... შორს ჩემგან გარყვნი

ლებავ... შორს ილიკოვ!—გადარეულივით იძახდა ნუცა და თან გაშმაგებული თვალებს აბრიალებდა. „ქმარი არა, მეგობარი არა, სათაყვანო არსება არა. არც მე მინდა სიცოცხლე“...

ნუცამ ზარი დარეკა.

— რა გნებაესთ, ბატონო?—შემოიჭრა ბიჭი.

— აი ეს წერილი წაიღე ამ წამს ფოსტაში!

— კი ბატონო!—ბიჭი გავიდა.

— აბა სასო, გეშვინდობები... უკანასკნელად წერილს გიგზავნი,—ამ სიტყვებით სასოწარკვეთილმა მაგიდის ყუთიდან რაღაც სითხით სავსე ჭიქა ამოიღო, პირში ჩაიკლა და შემდეგ საღლაკ გადაისროლა... საშინელის ტირილით წაიქცა საწოლში. ილიკოვ შემოვიდა.

— ილიკო შენ?—შეკვივლა ნუცამ.

— რა ამბავია... აჰ?

— ილიკო... შე საწყალო... შე საბარალოვ...
— ნუცა... ნუცა... ნუციკო!..

— შე საბარალოვ... შენა... მებრალბები, მეკოდები...

დღეთრებ ანეული ილიკო შეშლილივით იკრავდა გულში ნუცას, რომელიც უაზროდ იყო... პატარა ხანი და ნუცამაც საუკუნოდ მიიძინა გაშმაგებულ ქმრის გულმკერდში...

— სხვი უყვარდაო და იმიზა უქნია...

— ილიკოზე მდიდარი მას არავინ შეიყვარებდა და თუ ვინმე ღარიბი უყვარდა, ახია რო თავი მოუკლავს და სიმღიღრე ვერ შეუშენია!—უმბატებდა ზოგი.

— ახალი ამბავი?

— რა იყო?

— ილიკოს თავისთვის მეორე საფლავი დაუმზადებია მეორე ცოლის საფლავთან, წამოლით ნახეთ...

— რას ლაპარაკობ?

— მართლა! თურმე დედას უფარი ეთქვა, სირცხვილია, ერთი უწინდელ ცოლის გვერდით გაქვს და მეორეს კიდევ რად იმზადებო, მარა კინაღამ მოკვლა თურმე დედა...

— ორი საფლავი აქვს, ახლა... ორი აბა ილიკოს?..

— გადარეულა საწყალო ..

— შეშლილია, მარა ორი საფლავი კი სასაცილოა...

მთელმა ხალხმა გაიგო ეს ამბავი, შეიქნა ჩოჩქოლი, საფლავის სანახავად წავიდნენ.

IX


კვლავ წამება, კვლავ საშინელება, კვლავ კუპრაჯოჯობითი ილიკოს ცხოვრებაში! კვლავ უბედურება, კვლავ გენია მისს თავზედ! მეთუ დღე დაეკარგა, მერე რა უტერად, მოულოდნელად! რამ გამოსატყა ხელიდან? რა წამალი სჭირია მისს ცხოვრებას, რა შევლა სჭირია, არ იციის! იგლივება. ვეროინ იკავებს, ყაჩაღლები ადგია, ცხედარს არ შორდება. ილიკოს დედა აგერ გადარევა. მთელი ქალაქი გაკვირვებასა: ვერ აუხსნიათ მომხდარი ამბავი, ათასნაირი ჭორები ვრცელდება. მიცვლებულის გაქრა უნდათ. ილიკო კაცს სიახლოვეს არ იკარებს, ყველას მოსაკლავად უტეტს. მკვდარს არ შორდება, თავზე აკედება.

— დღეს მარხვენ ჩემს ნუგვს, ჩემს ნუცას! მე კი ცოცხალი ვრჩები... არ მინდა არა იმის შემდეგ სიცოცხლე! მეც მომკალით, მეც!—ყვიროდა გაშმაგებული ილიკო შესამებ დღეს. არავისი რჩევა-დარიცხვა არ უნდოდა. —ჩემმა ნუცამ სიკვდილის დროს მიიხრა, „მებრალბები, შე საწყალოვო!...“ არ უნდოდა ჩემი მოშორება... არა... და მე მოვშორდებ?... არც მე მინდა მისი მოშორება... არა...

ეკვლეისის ვალავანში აუარებელი ხალხია. ყველა დარწმუნებულია, ილიკო კუვიდანაა შეშლილი, და იბრალბენ. ნუცას ყველა ამტყუნებს.

— მამაცხონებულს უკეთესი სამდიდრე ჰქონდა სახლში თუ? ბიჭი კაი იყო, მდიდარი და ყველაფერი და მეტი რა უნდოდა?—ამბობს ზოგი.

მომხივება.



— ნეტავი რომელში უნდა დიმიარხოს: პირველში თუ მეორეში?
— პირველში...

— მეორეში...

ჩამოსვენებს მიცვალებული. დასისხლიანებული ქმარი გაკეცილი ჰყავთ. მთელი საზოგადოება სდუმს... ილიკოს უცქერია, მგალობლები მოწონებით და ერთხმად ღლინებენ. საკმეველის სუნია.

— ნუა, ჩემი საფლავიც აქ არის... მეც შენთან ვიმარხები! — დაატრია ღონე მიხდილმა ილიკომ მიწაში ჩასადებად გამზადებულ ცოლს და თავის „საფლავში გადასაყარნად გაიწია. გააჩერეს.

— ასევე დაატრია უწინდელ ცოლსაცოა, — გაიფიქრა შიშისაგან გაბრუნებულმა დედა მისმა და შეიღს შემოცხვია.

— შეშლილია... შეშლილია... რავე უაზროდ იხედება...

— აბა... აბა... საწყაო! — ისმის ხალხში.

— ორი საფლავი... ორი ესკარ გვინახავს! და...

— აფსუს... ბიჭო, აფსუს... ასე უნდა სიყვარული...

— ნახევარი ერთში დაიმარხება და ნახევარი მეორეში...

— შეშლილია... შეშლილია...

იშოვე სალაპარაკო ქალაქმა; ათასიერი ოხუნჯობა და მითქმა-მოთქმა ისმოდა...

ილიკო ახლა სრულ ჭკუაზეა, კვლავ განიკურნა, ყველაფერი დაივიწყა. მხოლოდ უწინდებული სიხალისე არ ატყვია. იმის „სახეს რადაც უაზრო და სულელურ გამომეტყველების ელფერი აზის... ეხლა მესამე ცოლს დეცებს.

როცა ორ საფლავს მივაგონებენ, უაზროდ გაიღებება და ხელს ჩაიქნევს...


ვ. მალაქიაშვილი.



ცოლი. რა დავართვია, რამე გაკამოვლას? ქმარი. ტუფლისში დამე სიარულმა ასე იფის...



ახალი ტანისცემული ტუფლისელათვის სფეხულში სისარულად.



ტფილისში. მამა. — რადგან დღეს კვირაა, შემიძღან წყალი ოც-ოცი წვეთი მოკბეთ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. მ. შაბაძარი